ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №8161018

ნომერი: AR11168972

თარიღი : 10.11.2026

გაცემის თარიღი : 13.11.2026

გაცნობის თარიღი : 13.11.2026

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფონიჭალა, ღოღობერიძის ქუჩა , მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 10 ნოემბერს №AR11168972 განცხადებით მომართა ირაკლი მაზიაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2026 წლის 22 ოქტომბრის №8132362 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 22 ოქტომბრის №8132362 შეთანხმდა №01.18.13.022.037 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
წინამდებარე, განცხადებით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2026 წლის 22 ოქტომბრის №8132362 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ, მითითებული ბრძანებით შეთანხმებულ-3.00 ნიშნულის გეგმაზე და 2-3 ღერძის დ-გ მონაკვეთში დატანილი წყლის ავზის და საქაჩების ოთახის მითითებას ამავე ნიშნულის 1-1 ღერძის გასწვრივ დ-გ მონაკვეთში. წარმოდგენილი აქვს შეცვლილი -3.00 ნიშნულის გეგმა და ითხოვს აღნიშნული გეგმის ჩანაცვლებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ წარმოდგენილ -3.00 ნიშნულის გეგმაზე სამსახურის 2026 წლის 22 ოქტომბრის №8132362 ბრძანებით შეთანხმებულთან მიმართებით 1-1 ღერძის გასწვრივ დ-გ მონაკვეთში და 2-3 ღერძის დ-გ მონაკვეთში წყლის ავზის და საქაჩების ოთახის მოთხოვნილი სახით ცვლილება იწვევს ფართების გეგმარების/ფუნქციის ცვლილებას.
შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გეგმა არის სამშენებლო დოკუმენტაციის ნაწილი, რომლის ცვლილებაც ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საფუძველს არ წარმოადგენს. აღნიშნულისთვის საჭიროა შეთანხმებული პროექტის ცვლილება (კორექტირება).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან -3.00 ნიშნულის გეგმაზე 2-3 ღერძის დ-გ მონაკვეთში არსებული ფართის ნაცვლად წყლის ავზის და საქაჩების ოთახის მითითება ამავე ნიშნულის 1-1 ღერძის გასწვრივ დ-გ მონაკვეთში არსებულ ფართზე არ არის ტექნიკური ხარვეზი და აღნიშნული წარმოადგენს სამსახურის 2026 წლის 22 ოქტომბრის №8132362 ბრძანებით შეთანხმებული -3.00 ნიშნულის გეგმის/ფუნქციის ცვლილებას, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას, დააკმაყოფილოს მოთხოვნა, სამსახურის 2026 წლის 22 ოქტომბრის №8132362 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.